ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №4
2021 წლის 18 თებერვალი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების საფუძველზე ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 20 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 23/01/2020, 190020020.35.158.016492) დამტკიცებულ დანართი №1-ში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში, ასევე დაემატოს „დ.ა“, „დ.ბ“ და „დ.გ“

ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) 18-დან 26 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე:

დ.ა) ბენეფიციარებს, რომლებიც ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას და

საჭიროებენ მუდმივ მომვლელს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ.ბ)კლასიკური ფენილკეტონურიით დაავადებულ ბენეფიციარებს,– 150 (ას

ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ.გ)აუტიზმით დაავადებულ ბენეფიციარებს – 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.“

2. მე-10 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ფენილკეტონურიით და ჰიპერფენილალანემიით დაავადებულ ბავშვებს (სპეციალური

საკვების შესაძენად) დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თამაზ ჟორჟოლიანი**